სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

17 აგვისტო 2026

N 590/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 11 აგვისტოს №574/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი იყო მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, 2026 წლის 11 აგვისტოს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცა „მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №574/ს ბრძანება.

ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი გვერდის მეორე აბზაცში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ლიცენზიის გაცემის ვადად, ნაცვლად სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში აღნიშნული 25 წლისა, მითითებულია 15 წელი. შესაბამისად, მითითებულ ბრძანებაში საჭიროა შესაბამისი შესწორების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სალიცენზიო ობიექტიდან (ჭაბურღილი) წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 11 აგვისტოს №574/ს ბრძანების პირველი გვერდის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია ერთი ჭაბურღილით, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 579

მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (GPS კოორდინატები: X-480873.224 Y-4640146.233; ფართობი: 0,07 ჰა). აღნიშნული ჭაბურღილიდან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია წელიწადში 150 000 $м^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად 25 წელია განსაზღვრული“.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. აღნიშნული ბრძანება 5 დღის ვადაში განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/590-21-4-202608171052